

საქართველოს კანონი

„განვითარებისა და რეფორმების ფონდის შესახებ“ საქართველოს კანონის  
ძალდაკარგულად ცნობის თაობაზე

მუხლი 1. ძალდაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს 2004 წლის 14 იანვრის კანონი „განვითარებისა და რეფორმების ფონდის შესახებ“.

მუხლი 2. ლიკვიდირებულ იქნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი განვითარებისა და რეფორმების ფონდი 2010 წლის 1 თებერვლამდე. ფონდის სალიკვიდაციო ღონისძიებები განისაზღვროს საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტით.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი